[illegible]

№ 267 1918 წ. კვირა. ოქტომბრის 20. № 362

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანელებმა დუე დასტოვეს. ვილსონის მეორე პასუხი საზავო მოლაპარაკებას აჭიანურებს. საფრანგეთის სოციალისტები ზავს მოითხოვს. დღეს სოც.-ფედ. საგუბერნიო ყრილობა.

დედ-მამა ვასილ გიორგის-ძე და ეკატერინე დავითის ასული, ძმები გიორგი, ნიკოლოზ, ლევან და და ნინო ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 20-ს, წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

დავით (დათიკო) ვასილის ძე ხახუტაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 2063

ცოლი დარია ალექსის ასული ოთარიძისა, დედა ეკატერინე, შვილი ოთარ ცოლის ძმა დიმიტრი ალექსის ძე საყვარელიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. გორში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა, პირველისა მეუღლე, მეორისა შვილი, მესამისა მამა და უკანასკნელის სიძე

იოსებ გიორგის ძე ოთარიძის

პანაშვიდები ყოველ დღე, ქ. გორში, გამოსვენება საკუთარ სახლიდან გორის საკრებულო ტაძარში კვირას, დილის 10 საათზე ოქტომბრის 20-ს დაკრძალვა ამავე დღეს, გორის სასაფლაოზე. 2070

ანა მალხაზის ასული, პავლე ზაქარიას-ძე. სოფიო ზაქარიას ასული ციციშვილები და მარგარიტა ზაქარიას ასული პეტროვისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულის

ზაქარია ზაქარიას ძის ციციშვილისა

სულის მოსახსენებლად. წმ. გიორგის ქვაშვათის ეკლესიაში დილის 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე. 2071

გულდათუთქულნი და განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე გიორგი სიმონის-ძე კეკლიშვილი, შვილებითურთ: ერმალოზ, ლადო, სონა, ალექსი, გრიშა და კოლა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 20-ს ნაძალადევის ივერიის ღვთის-მშობლის ეკლესიის გალავანში სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მარად დაუვიწყარის

ბარბალე (ბალო) მიხეილის ასულის კეკლიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. 2073

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე მიხეილის ასული შვილებით: სალომეთი და ნინოთი, ძმა გიგო დიმიტრის-ძე თავის ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ღვინობისთვის 9 ე. ი. (ახ. სტილით ოქტომბრის 22-ს) ტრაღიკულად გარდაცვლილის

ივანე (ვანო) დიმიტრის-ძე ბოჭორაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი სოფ. მეტეხის ღვთის მშობლის ეკლესიაში 2072

მართა ივანეს ასული და ილიკო სამსონის-ძე აბაშიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის საყვარელი პატარა

ირას

უდროოდ გარდაცვალებას შორაპნის მაზრის სოფ. ჭალაში. 1371

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ელენე მაქსიმეს ასული მგელაძისა, შვილები: თამარა და მართა, სიმამრი დეკანოზი მაქსიმე სიხარულიძე შვილებით: ერმილე და ანეტა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 22 ოქტომბერს (ახ. სტ.) დღის 12 საათზედ დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ფოთში სასაფლაოს ეკლესიაში, უდროოდ დაკარგულების

ალექსანდრე ნესტორის-ძის მგელაძის და პატარა კოტეს

სულის მოსახსენებლად. 2074

კვირას, ოქტომბრის 20-ს, (ახ. სტ.) დილით ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაშა გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი (საფლავზედ) გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო, ბათომში ანარიას სიმაგრეზედ გმირულად დაღუპულ კაპიტან

სიმონ შავგულიძის,

რასაც გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს გულმოკლული მშობლები ატატო გრიგოლის ასული და იობ სიმონის-ძე შავგულიძეები, დები—სიდონია ვეკუასი, ოლღა აბზიანიძისა, ლუბა ნებიერიძისა, ნინო და მარიამ შავგულიძეები, რძლები—სოფიო მიხეილის ასული, ანეტა პავლეს ასული და სოფიო ვასილის ასული შავგულიძეები, ძმები—ნესტორ, ვლადიმერ, იოსებ, გერასიმე, დავით, შალვა და გრიგოლ შავგულიძეები, სიძენი—ვლადიმერ მოსეს-ძე ვეკუა, ზოსიმე ექვთიმეს-ძე აბზიანიძე და ვასილ პეტრეს-ძე ნებიერიძე

კვირას, ოქტომბრის 20-ს დ თიანეთში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წელს კურს დამთავრებულის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის

რუსუდან გრიგოლის ასულის ჯინჭველაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მის ამხანაგებს მისი მშობლები დეკანოზი გრიგოლი და სოფიო სტეფანეს ასული ჯინჭველაძეები, დაი ლუბა გრიგორის ასული და სიძე ვასილ ისიდორეს ძე ჯიბლაძეები. 2065

გულდამწვარნი დედა ბარბარე სპირიდონის ასული, ძმები პავლე და ნიკოლოზ კონსტანტინოვები, ბიძა ალექსანდრე სპირიდონის ძე ზედგინიძე ოჯახობით, და მარიამ პეტრიაშვილისა და რძალი ევა გიორგის ასული კონსტანტინოვისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ტფილისის ქართულ გიმნაზიის მე-4 კლ. მოწაფის ძვირფას

ალექსანდრე (შურა) იოსების ძე კონსტანტინოვისას

გამოასვენებენ (ყორღანოვის ქუჩა № 4, სახლი ზედგინიძისა) კვირას, დილის 9 ნახ. საათზე, ოქტომბრის 20-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2076

თეკლე დავითის ასული, ნინო იაკობის ასული და პელაგია ანტონის ასული დაფქვიაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, ოქტომბრის 20-ს

დავით ანტონის ძე დაფქვიაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი 12 ს. განსვენებულის საფლავზე. 2075

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

კვირას, ოქტომბრის 20-ს, „რიგოლეტტო“ ოპერა 4 მოქმ. მუს. ვერდისა.

მომქმედნი პირნი: აგასოვისა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ჯედევანოვისა, ზალიპსკი, ორდა, ისეცკი, ზუბარევი. ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი **ხამოსუდი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 21-ს „აიდა“, 22-ს „ევგენი ონეგინი“, 23-ს „ლოენგრინი“.

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 20-ს გაიმართება გაუგონარი სადღესასწაულო

წარმოდგენა

დღეს უდიდესი პროგრამა, მონაწილეობს მთელი დასი. უკანასკნელი გასტროლი ცნობილ იუმორისტ მსახიობის **რადიონ კუბანსკასა.** დღეს მთლად ახალი რეპერტუარია. გამოსვლა მარია და ანტონ ზინკოვსკებისა. დღეს გამოვა იაპონიის სასახლის დასის პრემიერი **ხოხო-კიტი ხან.** გამოსვლა „სამი ეშმაკისა“. საზოგადოებას აცინებენ **ვიქტორი** და **დიმა.**

ანონსი: ხვალ ოქტომბრის 21-ს გამოსათხოვარი ბენეფისი შესდგება **რადიონ კუბანსკისა.** დასაწყისი საღამოს 8 ს. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2077

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 ს. ტფილისის პარტიულ კლუბში.

საგანი ყრილობისა:
1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა.
2. მიმდინარე საკითხები.
3. საგუბ. კომიტეტის არჩევნები.

ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა.

ვაჟთა პირველი გიმნაზიაში მიმდინარე სასწავლო წელს 1, 2, 3 და 4 კლასებთან იხსნება პარალელური განყოფილებები. სწავლა რუსულ ენაზეა.

მიღება გაგრძელდება შაბათამდის, ოქტომბრის 19-დის, რის შემდეგაც მიღება შეწყდება. 2092

ქართული ლატარია 5,000,000 მან.

ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია.

ბილეთები იყიდება ყველ გან, სადა კი გამოცხადებულია.

ტფილისი, ოქტომბრის 20.

საქართველოს პარლამენტში. ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს პარლამენტში ორი ყურადსაღები საკითხი გადასწყდა. ერთი იყო ეროვნულ უმცირესობათა ენად რუსული ენის აღიარება (ფაქტიურად ასე გამოდის!) და მეორე უმაღლეს კურსებისათვის ორმოცდაათი ათასი მანეთის გადადება. ორთავე საკითხში ჩვენი ფრაქცია გამოვიდა წინააღმდეგ უმრავლესობის, სოციალ-დემოკრატიისა, ფრაქციის ორატორებმა საკმაოდ გააშუქეს ეს საკითხი და აქ ეხლა გამეორებას აღარ შევუდგებით. ხოლო ჩვენ გვინდა ზოგიერთი რამ მოვიგონოთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ყურადსაღებად, რადგან აქამდე ისინი განაგრძობენ ამ საკითხთა შესახებ მსჯელობას. უმაღლეს კურსებისათვის დახმარების მიცემის თაობაზე „ერთობა“ ამბობს: სამწუხაროა, რომ სოც.-ფედერალისტები ნაციონალ-დემოკრატების კომპანიაში აღმოჩნდნენო. რაშია საქმე? შევეხოთ საკითხს?

პარლამენტმა სრულიად სამართლიანად, სრულიად დემოკრატიულად აღიარა უფლება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა—ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე. ეს იყო კანონი. ირ. წერეთლის მეოხებით ეს კანონი შეიცვალა ისე, რომ ფაქტიურად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა უნდა ილაპარაკონ უცხო სახელმწიფოს ენაზე—ეს იყო რეგლამენტი. რეგლამენტმა კანონი დაარღვია და ძირიან-ფესვიანად უარჰყო. ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ ჩვენ და არც შეიძლებოდა სხვანაირად მოვქცეულიყავით. მაგრამ რუსული ენის გამეფება ჩვენს პარლამენტში, უეჭველია, პოლიტიკური მომენტია ჩვენს ცხოვრებაში იმას კი არ ვამბობთ, რომ რუსული ენა საზიზღარია, იგი უნდა გვძულდეს და ამიტომ ვერ ავიტანოთ მის გაგონებას, ჩვენ კარგად ვიცოდით და ვიცით რუსული ენის საკულტურო ღირებულება. მაგრამ განა ფრანგული, გერმანული ან ინგლისური ნაკლებად დაფასდება. ჩვენ ახლად ვქმნით სახელმწიფოს, რომლის დროსაც მეტად დიდი სიფრთხილეა საჭირო. რეგლამენტით შეცვლილი კანონი კი დიდი ხნით უხშობს კარებს და განვითარების გზას სახელმწიფოებრივ ქართულ ენას. თუ კი ქართული ენა თვით პარლამენტშიაც არავისთვის იქნება საჭირო, გარდა თვით ქართველი ეროვნებისა—უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ მუდამ ამ მდგომარეობაში ვიქნებით და არასოდეს არ გვექნება სახელმწიფოებრივი ენა. გარდა ამისა პარლამენტმა პირველად საუკეთესო პრინციპი აღიარა: მშობლიური ენის ხმარება. ირ. წერეთლის რეგლამენტმა კი იგი შესცვალა იმ გადაგვარებულ ინტელიგენტთა სასარგებლოდ, რომელნიც მშობლიურ კულტურას მოსწყვეტიან და რუსული და ეკერხებათ. ერთი სიტყვით, ხარი მიიყვანეს დასაკლავად დანასთან და არა დანა ხართან. მაგრამ ზემოდ უკვე აღვნიშნეთ და ეხლაც ვიმეორებთ: აქ პოლიტიკური მომენტი შემოიჭრა და მან გადასძალა. სოც. დემოკრატიამ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გამოიჩინა რყევა და აღმოჩნდა, რომ იგი ისევ ჩრდილოეთისაკენ იყურება. ეს კი დამღუპველია ჩვენი და ჩვენი მომავლისა. მათ ვერ წარმოუდგენიათ მთლიანი, დამოუკიდებელი საქართველო, მთლიანი კავკასია, თვითკმარი ორგანიზაცია, რომელიც უნდა სცდილობდეს ყოველგვარ გარეშე ძალების გავლენის მოშორებას. ეს გვესმოდა ჩვენ და ამიტომ ვილაშქრებდით რუსული ენის დაკანონებას. ეს არ ესმოდათ სოც.-დემოკრატებს, რომელთაც ეს საკითხი ტეხნიკურ საკითხად დასახეს. საკითხი სწორედ ესმოდათ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების იმ ფრთას, რომელნიც განსაზღვრულ ორიენტაციისანი არიან და ამიტომ სრულიად შეგნებულად დაუჭირეს მხარი სოციალ-დემოკრატების „ტეხნიკურ შესწორებას.“

ამისთანავე მდგომარეობაში ვიყავით მაშინ, როცა ირჩეოდა საკითხი ტფილისის უმაღლეს კურსებისათვის ფულის გადადებისა. აქაც აშკარად გამოჩნდა ერთნაირი სკეპტიციზმი და ურწმუნოება საქართველოსადმი, თავის დამცირება საკუთარის და სხვისის თაყვანისცემა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ჩვეული იყო და ეხლაც თან ახლავს. ვინ არ იცის, რომ ხსენებული კურსების ლექტორებში მრავალი უბრალო მასწავლებელია, ვინ არ იცის, რომ სამეცნიერო ძალებით ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი მაზე ბევრად მაღლა სდგას? მაგრამ აქ ურწმუნოება თავის თავისა და ინერციით ქედის მოხრა მის წინაშე, რაც ბუმბერაზად წარმოუდგენიათ და კარგად გაუგიათ, მაგალითად, ტფილისელ კადეტებს და მეთაურ წერილში დაგვცინიან—რა ხართ, რა გაქვთ, ვინ გყავთ და თუ საკუთარის დამცირების და უნდობლობის გზას დავადგებით—მართლაც არც არასოდეს გვეყოლება. ჯერ თავო და თავოო, ხომ მოგეხსენებათ. სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ და მტკიცედ უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა წარმავალი არაა კადეტების სასიხარულოდ და საჭიროა მისი ყოველი მხრივი მოწყობა და გამაგრება. ამ შემთხვევებში კი სოციალ-დემოკრატია ორმაგობას იჩენს უნებლიედ და სანთელს უნთებს ეშმაკსაც, ანგელოზსაც—ან ერთი გამოვადგება, ან მეორეო. გარდა ზემოთქმულისა, იყო საფინანსო მო-

საზრებაც და ისიც, რომ ხსენებული კურსები პოლიტიკური მიზნით არიან აქ გამაგრებულნი და უნდათ კონკურენციის გზით ჩაჰკლან ჩვენში ეროვნული თვითმოქმედება. მაგრამ ამაზე თვით პარლამენტში ბევრი ითქვა ჩვენი ამხანაგების მიერ და აქ აღარ გავიხსენებთ იმ საბუთებს.

სოციალ-დემოკრატიამ განსაკუთრებით პირველ საკითხში სიმსუბუქე გამოიჩინა და სრულიად ვერ გაუწია ანგარიში მომენტს. ჩვენ კარგად გვესმოდა ჩვენი პოზიცია და მტკიცედ ვიცავდით მას, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ეს გზა გაამაგრებს და განაძლიერებს საქართველოს რესპუბლიკას. სოციალ-დემოკრატია კი აქ გამოეთიშა იმ საქმეს, რომლის სამსახური დაისახა ამ ოთხი თვის წინად და მოინდომა საკუთარი ძალებით წარმოება სახელმწიფოებრივ პოლიტიკისა. ეს გზა საფრთხილოა და ჩვენ ამას ყურადღებით აღვნიშნავთ.

ნახული და გაგონილი

გზები

ამ ათიოდე დღის წინად ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში ვიყავი, სოფლად და ქალაქად. მინდა ჩემი შთაბეჭდილება მკითხველსაც გაუზიარო; ვგონია, საყურადღებო იქნება.

ყოვლის უწინარეს უნდა აღვნიშნო ჩვენი რკინის გზის მდგომარეობა. ახლანდელი არევ-დარევა და გასაჭირი შორიდან მოგვდევს. რკინის გზებზე უწესოება კარგა ხანია, მაგრამ ბოლო დროს მაინც წარმოუდგენელი ამბები ხდება. იმას არ მოგახსენებთ, რომ მაზუთის უქონლობისა გამო მატარებელი ურემს დაემსგავსა. გულმოდგინეობა და მუყაითობა აქაც ბევრს გააკეთებდა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ რკინის გზის გარშემო ატეხილმა აურზაურმა ცოტაოდენი ნაყოფი მოიტანა და წინად თუ ტფილისიდან ფოთამდის ორი-სამი დღე გვინდებოდათ, ახლა 24—24 საათში ჩახვალთ. ხოლო უბედურება ისაა, რომ რკინის გზაზე არაა ის, რასაც არავითარი გარეშე ძალა არ აბრკოლებს და რაც დამოკიდებულია ჩვენს საკუთარ უნარსა და საქმიანობაზე. თუ ორთქლმავალი ვერ ავაჩქარეთ, ვსთქვათ —ეს ბაქოს ბრალია. მაგრამ ვის უნდა დავაბრალოთ, რომ ვაგონები სავსეა ყოველნაირის მკბენარითა და სიბინძურით, რომ ასეთი წარმოუდგენელი უსუფთაობაა სადგურებზედაც, რომ ზოგან ისეთი მყრალი სუნია, რომ ადამიანი ახლოს ვერ გაივლის, რომ ბილეთების კანტროლი სუსტია, რამდენსამე სადგურს გაივლით და მხოლოდ შემდეგ თუ მოგაკითხავენ ბილეთისათვის, რომ კონდუქტორები თავის ვაგონში არ იმყოფებიან, რომ წესიერება არსადაა და საჭირო ცნობას ვერავისგან მიიღებთ, რომ მოსამსახურეები ისე ეკიდებიან თავის მოვალეობას, თითქოს იგი მათ სრულებით არ შეეხებოდეს—და სხვა ამისთანა მრავალი ვის უნდა გადავაბრალოთ? განა ყველაფრის ამის გაკეთება ჩვენს ხელთ არაა? და თუ არ კეთდება, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უმოქმედობა, დანაშაულობა და უპასუხისმგებლობაა.

უკეთესი მდგომარეობა არაა ზღვაზე. ასევე გაჭირვებულია გემით მოგზაურობა. მკითხველმა უწყის, რომ ზღვას როგორც მიმოსვლის საშუალებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთისათვის. ზუგდიდსა, ოჩამჩირე-სოხუმსა და სხვა ადგილებს შუა გზატკეცილია გაყვანილი და როცა ზღვა დაკეტილი იყო ომის წყალობით, მთელი მისვლა-მოსვლა ამ გზით ხდებოდა. ხოლო დღეს ეს გზა უყურადღებოთაა მიტოვებული, არავინაა თვალყურის მდევნელი და შემკეთებელი, ხიდები და ბოგირები გაფუჭებულია, ავდარში მეტად გაძნელებულია მოგზაურობა ეხლაც და მალე სრულებით შეუძლებელი შეიქმნება. დილიჟნები დადიან ამ გზაზე, მაგრამ სიძვირისა გამო ყველასათვის მისაწვდომი არაა. მაგალითად სოხუმიდან ზუგდიდამდის ერთი კაცის ადგილი ღირს ას სამოცი მანეთი.

ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზღვაო მიმოსვლის მოწყობას. ჩვენს რესპუბლიკას მოეპოვება ორიოდე გემი და ადვილად შეიძლებოდა დაგვეწესებია სახელმწიფო გემების რეგულიარული მისვლა-მოსვლა საქართველოს პორტებს შორის, გემმა უსათუოდ უნდა შეიაროს სულ მცირე პორტშიაც კი. ამით მოეწყობოდა, სხვა არა იყოს რა, ფოსტის გადატან-გადმოტანა და ბოლო მოეღებოდა დღევანდელ აუტანელ მდგომარეობას, როცა სანაპირო მკვიდრთ ხშირად თვეობით არა აქვთ წერილი და გაზეთი. მართალია, დღეს შავ ზღვაზე მრავალი კერძო გემი მუშაობს, მაგრამ ესენიც სპეკულიანტობენ და დიდს ფასს ახდევინებენ მგზავრებს, მათი მიმოსვლა არაა წესიერი, მაგალითად დღეს რომ სამი გემი გადის ფოთის ნავთსადგურიდან, ხვალ არც ერთი არაა, თანაც ეს გემები ყველა პორტში არ შედიან. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რესპუბლიკის გემების რეგულიარული მიმოსვლა დიდად შეუწყობდა ხელს საქართველოს ნაპირების ეკონომიურ და კულტურულ აღდგენას; ქართველი ხალხი მიაწვებოდა ამ ადგილებს, დაიწყებდა იქ მუშაობას, წარმოებას, ფეხს მოიმაგრებდა და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის, ჩვენი მომავლისათვის.

ბათომის დაკარგვის შემდეგ (უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია) ფოთი ერთად ერთი ნავთსადგურია რომელსაც შეუძლია საქონლის გაგზავნა ან მიღება. საჭირო იყო დიდი სიფხიზლე და მუყაითობა ამ ნავთსადგურის გასამართავად და მოსავლელად. საჭირო იყო მისი გაუმჯობესება. სამწუხაროდ დღეს ფოთს არავინ ჰყავს პატრონი და გამგებელი და რაც ,იყო, ისიც კი ფუჭდება და ოხრდება, თორემ ახლის რისიმე გაკეთებას ვინ ფიქრობს. გაძნელებულია პორტში მისვლა, თვითონ ნავთსადგურში ყველაფერი ანგრეული და მინტვრეულია, იშვიათი სიბინძურე და უსუფთაობაა. ეტყობა საქმისთვის არც ქალაქის თვითმართველობა ზრუნავს და არც პორტის უფროსი აქაც ის ამბავია, რაც რკინის გზის სადგურებზე: ადამიანისაგან ვერავითარ ცნობას ვერ მიიღებთ, ვერც გაიგებთ ვის რა აბარია...

ერთი რამ არის კიდევ ფრიად საყურადღებო. ფოთში მთავარი საზღვაო საბაჟოა. მაგრამ უცხოეთიდან რომ გემი მოდის, ნახევარი მგზავრი და საქონელი გაუსინჯავი რჩება. სდგას ერთი დარაჯი და მოწიწებით, მოკრძალებით სთხოვს ყველას წესიერების დაცვას და კიდევ ორი-სამიოდე მოხელე, რომლებიც თუ ვისმე მოჰკრავენ თვალს, გასინჯავენ. დანარჩენი მიდის არხეინად თავისთვის და ვინ იცის, რა მიაქვს ან ვინაა თვითონ.

უნდა ვსთქვა, რომ სხვა ჩვენს ნავთსადგურებშიაც უკეთესი მდგომარეობა არაა. ვისაც კონტრაბანდის გატანა ან შემოტანა უნდა, თუ თვითონ არ განაცხადა, ისე ვერავინ გაუგებს. ამას რასაკვირველია ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ჩვენი სანაპირო ჯარი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს...

სამ. ფირცხალავა.

მთავრობაში

ოქტომბრის 17-ს, მთავრობის სხდომაზე დადგენილ იქმნა:

—

საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის წევრებად დაინიშნონ ალ. ჯაფარიძე და დავით მდივანი.

—

დადგენილია მიენდოს ფინანსთა მინისტრს დაუყონებლივ მისცეს გზათა მინისტრს, სესხის სახით, ტყიბულის მუშების ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად საჭირო ფული ორი კრედიტით: 450,000 მანეთი სამხედრო სამინისტროს კრედიტიდან და 400,000 მან. სასურსათო საბჭოს კრედიტიდან.

—

დადგენილია გაუქმდეს მთავრობის ავტომობილთა გარაჟი.

—

დადგენილია მიეცეს ყველა სამინისტროებს სათითაოდ თავიანთი ავტომობილი, რომელნიც სამინისტროს სადგომში მოთავსდება: ამისათვის გაეხსნას სამინისტროს შესაფერი კრედიტი, რომელიც რაოდენობის გამორკვევის შემდეგ შეტანილ უნდა იქნეს ყოველ სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში, დანარჩენ ავტომობილებს გზათა სამინისტრო იყოლიებს მუდმივ რეზერვში.

—

დადგენილია იუსტიციის კანცელარიის შტატები დამტკიცებულ იქნას და წარედგინოს პარლამენტს.

—

ივანე ჯაფარიძის თხოვნა თანამდებობისაგან განთავისუფლებაზე შეწყნარებულ იქნა, ხოლო იუსტიციის მინისტრს დაევალა მთავრობის შემდეგ სხდომისათვის წარმოადგინოს ახალი კანდიდატი ჯაფარიძის მაგიერ.

—

დადგენილია ფინანსთა მინისტრს მიენდოს მოახდინოს განკარგულება, რათა სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილებიდან, აგრეთვე სოხუმის ხაზინიდან მიეცეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შერვაშიძეს აფხაზეთის ყოფილი სახალხო საბჭოს მიმდინარე ანგარიშებიდან საჭირო ფული, საბჭოს გასაუქმებელ აქციების და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მოსამსახურეებთან ანგარიშების გასასწორებლად.

—

დადგენილია ნება დაერთოს ტფილისის თვითმართველობას მთავრობის მიერ მოცემული ნავთი, ხოლო იმ პირობით, რომ პირველ რიგში ნავთი მოხმარდეს ქალაქის წყალსადენს, მეორე რიგში ქალაქის ქუჩების განათებას და მესამე რიგში—ტრამვაის.

საქართველოს პარლამენტი

ოქტომბრის 18-ის სხდომა

კრება დღის 1 საათსა და 15 წუთზე იწყება.

თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.

მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებს და დღიურ წესრიგს კრება ამტკიცებს.

შ. ამირეჯიბი კითხულობს წარსულ კრებაზე მიღებულ კანონების საბოლოო რედაქციას სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების მომატებისა და ტფ. უმაღლეს კურსებისათვის 50,000 მანეთით დახმარების შესახებ. კრება მორიგ საკითხებზე გადადის.

კანონ-პროექტი საქართველოს ყველა სოფელში ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის გაყვანის შესახებ.

ამ კანონს პ. ქავთარაძე კითხულობს, საიდანაც სჩანს, რომ ოსმალეთთან ომის დროს დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულ პუნქტებსა და ბრძოლის ასპარეზის ადგილას გაყვანილ იქმნა ტელეგრაფი და ტელეფონები. ფრონტის მოსპობის შემდეგ კი, ადგილობრივ საზოგადოებათა მოთხოვნით და მთავრობის ხელმძღვანელობით ეს ტელეფონ-ტელეგრაფი უფრო საფუძვლიანად იქმნა გაყვანილი და ამ საშუალებით მრავალი საზოგადოება ერთმანეთს დაუკავშირდა და გადაება. ამ საქმეს ხელს უწყობს თურმე აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სამხედრო და განსაკუთრებით საფოსტო უწყებას საკმაოდ მოეპოვება საამისო ხელსაწყო მასალა, რის შესყიდვაც შედარებით, ფრიად იაფად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას. ამ მოსაზრებით უხელმძღვანელია შინაგან საქმეთა სამინისტროს და თითქმის ყველა ჩვენი ქვეყნის ნაწილებში რეფერენდუმის მსგავსი შეკითხვა მოუხდენია. საზოგადოებანი სიხარულით დათანხმებულან ამას და სურვილი განუცხადებიათ, თუ კი მთავრობა ამ კულტურულ ნაბიჯს გადასდგამდა, გაეღოთ ყოველგვარი ხარჯი და შრომა.

ამის შემდეგ მთავრობას დაუვალებია ამ კანონის შედგენა და პარლამენტში წარდგენა. ამ კანონის ძალით ყველა სოფელში გაყვანილი იქნება ტელეგრაფი, ტელეფონი და გაიხსნება ფოსტა. სოფელნი მოვალენი არიან საფოსტო განყოფილებისათვის დაუთმონ ოთხთვლიანი სახლი, დაიქირაონ მოსამსახურე და ტელეგრაფისათვის ბოძები და ბიჯგები დაამზადონ და დათხარონ ორმოები. ტელეფონების სარგებლობისათვის სოფელი წლიურად 500 მანეთს გადაიხდის ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯების გასასტუმრებლად, ერთდროულად საზოგადოებას გადაჰხდება 2500 მანეთი. დანარჩენ ხარჯებს მთავრობა კისრულობს და მთავრობავე ყიდულობს საფოსტო უწყებიდან ყველა ხელსაწყოებს და მასალებს.

ი. გობეჩია (ს. რ.). ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონების საჭიროება ყველას ესმის და ამ მხრივ ყველა მხარს დაუჭერს, მაგრამ არის მეორე პრინციპიალური მხარე ამ საკითხისა. თუ ამ ტელეგრაფებისა და ტელეფონების გაყვანას სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, მთელი მისი ხარჯებიც მანვე უნდა გაიღოს. და ყველა მოქალაქემ თანაბარის განაწილებით გადაიხადოს ეს ხარჯი. ხოლო თუ სოფელი საჭიროებს, ეს მისი კერძო საქმეა და ასეთი მოვალეობა სამაზრო ერობებს უნდა დაეკისროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა, რომ ხალხის განსაკუთრებულ კატეგორიას, მის დაუკითხავად ჩვენ ზემოდან დავბეგრავთ ამიტომ ჩვენ პირველ მუხლს მხარს დავუჭერთ, მაგრამ საერთოდ კი მის გადაწყვეტის დროს თავს შევიკავებთ, ჩვენი ფრაქციის წინადადება ასეთია: ეს კანონი დაუბრუნდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან დაწვრილებით გამოარკვიოს ეს საკითხი, ცნობები შეჰკრიბოს და ისე წარმოუდგინოს პარლამენტს განსახილველად

სამს. დადიანი (სოც.-ფედ.) ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი ერთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის განხორციელებისთვისაც პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადაუდგამს მთავრობას. დიდმნიშვნელოვანია იგი ჩვენი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით. ღია კარებში შეჭრაა და სრულიად ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტელეფონების და ტელეგრაფის ქსელების გაბმა ჩვენს სოფლებში ფრიად სასარგებლო და საჭიროა. ამას თვითონ ხალხიც კარგად ჰგრძნობს და სიამოვნებით მიეგებება ამ ზომებს. მაგრამ არ შემიძლიან პასუხი არ გავსცე სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციის განცხადებას. იგი მოითხოვს, რომ ხარჯები ერთიანად ხაზინამ იკისროს და ხალხი ნუ დაიბეგრებაო, როდესაც რუსეთის ხალხი ყოველთვის სცდილობდა, რაიმე გამოეგლიჯა და გამოეცინცლა ხაზინისათვის, ეს კიდევ გასაგები იყო, რადგანაც ხაზინა და ხალხი ერთი-მეორეს დაშორებული იყო. მაგრამ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობის ხაზინა—იგივე ხალხის ხაზინაა. რაც შეეხება იმ გადასახადს, ესე იგი წლიწადში სოფლის საზოგადოებამ გადაიხადოს ხუთასი მანეთი, ეს იმდენად მცირე გადასახადია, რომ თითო ოჯახს წელიწადში შაურიც ძლივს შეჰხვდება.

და თუ ფინლანდიის მსგავსად, სადაც წყლის პირად მეთევზეებსაც კი აქვთ ტელეფონები, ჩვენს ქვეყანაშიაც მოიფინება ქსელი ტელეფონებისა და ხალხს საშუალება ექნება ერთი-მეორეს დაუახლოვდეს, ამისთვის იგი საყვედურს არ გვეტყვის. პირ-იქით, ხალხი თვითონ კისრულობს დიდ დახმარებას. სულ ერთია, როდესაც ერობა მომაგრდება ჩვენში, ამის გამგებლობა გადაეცემათ ამ ერთეულებს და ამნაირად არავითარი განსაცდელი მოელის თვითმართველობათა თავისუფლებას, რისთვისაც აგრე რიგად სწუხს აქ პარლამენტის წევრი გობეჩია. ამ რიგად სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია წინააღმდეგია გობეჩიას წინადადებისა, რომლითაც მას ჰსურს ეს კანონი სამინისტროს უკან დაუბრუნდეს.

ნ. რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი). როცა თქვენს წინაშე წამოყენებულია ფრიად საყურადღებო საკითხი, პარლამენტს აქვს უფლება მოსთხოვოს საბუთი ამა თუ იმ ფრაქციას, რა უფლების ძალით ილაშქრებს იმ კანონის წინააღმდეგ, რასაც კულტურული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მე მესმის როცა მილიტარისტული ხარჯებს ეწინააღმდეგებიან. მაგრამ კულტურულად მნიშვნელოვან კანონების წინააღმდეგ გამოლაშქრება კი გაუგებარია. როგორც ეტყობა სოც.-რევ. ფრაქცია ამ საკითხს სრულიად არ ყოფილა გაცნობილი. ეს კანონი უეცრად არ შეგვიმუშავებია—იგი დიდ ხანსა მუშავდებოდა და მზადდებოდა. ჯერ კიდევ აპრილში სწარმოებდა ფრონტზე ამ საქმისათვის მუშაობა. ხოლო როცა ფრონტი მოიხსნა, ეს კულტურული მუშაობა საზოგადოების სურვილისა და თხოვნის თანახმად კვლავ გრძელდებოდა, იგინი არავითარ ხარჯს ერიდებოდნენ ვინაიდან დარწმუნებულნი იყვნენ რომ სახელმწიფო მარტო ვერ გაუძლებოდა ამ საქმეს. რას ვაკისრებთ ჩვენ ხალხს?—უნდა მოგახსენოთ, რომ არა მარტო დასავლეთ საქართველოს არამედ აღმოსავლეთის ნაწილებიც სიხარულით შეჰხვდნენ ჩვენს ასეთს განზრახვას და ხარჯების გაღებაც სიამოვნებით იკისრეს. მართალია ტელეფონების სარგებლობისათვის წლიურად 500 მანეთსა ვსთხოვთ, მაგრამ ეს გადასახადი და საერთოდ ის ხარჯი ამ საქმისათვის რომ ვაკისრებთ ფრიად უმნიშვნელო და მცირეა, ვინაიდან სახელმწიფო თვითონ ჰხარჯავს მასალას და სხვა თანხას. არ ვიცი ეს ფრაქცია როგორი წარმოდგენისაა ერობის შესახებ, თითქო უნდა მოვიდეს ერობა, გახსნას სკოლები. საავადმყოფოები და ფული ხაზინას მოსთხოვოს და ამ რიგად ხალხი გადასახადისაგან თავისუფალია. თუ ასე არა ფიქრობს ეს ფრაქცია, მიკვირს ამ კანონის წინააღმდეგ გამოლაშქრება. ჩვენ კულტურულ საქმეს ვაკეთებთ, ამით ერობასაც ხელს ვუწყობთ და როცა იგი დაიწყებს მოქმედებას ეს საქმე მის ხელში გადავა, და შემოსავალიც მის განკარგულებაში იქნება, ეხლა კი როცა ჩვენი ქვეყნის საკითხი მსოფლიო საკითხთა შორის დასმულია, ასეთი კულტურული ნაბიჯები უნდა გადავდგათ რომ სათანადო პატივისცემითა და სერიოზულის თვალით შეჰხედონ ჩვენს საკითხს. ამიტომ დარწმუნებული ვარ პარლამენტი სათანადოდ გადასჭრის ამ დიდ საკითხს.

ი. გობეჩია. უპასუხებს შინაგან საქმეთა მინისტრს და თავის წინადადებას იმეორებს.

წინადადება შემოდის კამათის შეწყვეტისათვის. კამათი სწყდება. მომხსენებელი უპასუხებს ორატორებს და თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას გობეჩიას წინადადება უარყოფილ იქმნა.

კანონი მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებული და დამტკიცებულია.

კანონ-პროექტი საქართველოს სოფლებსა და საზოგადოებებში წიგნთ-საცავთა მოწყობის შესახებ.

ლ. ნათაძე. კითხულობს ამ კანონს რომლის ძალითაც საქართველოს ყველა სასწავლებელთან, სამართველოსთან და საზოგადოებასთან უნდა დაარსდეს წიგნთ-საცავ სამკითხველო. მომხსენებელი აღნიშნავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ კულტურულ დაწესებულებებით ჩვენი ქვეყნის გამდიდრებას. ამისთვის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, გადასდოს განსაზღვრული თანხა და საქართველოს მთავრობის ოფიციოზი—„საქართველოს რესპუბლიკა“ გაუწეროს თავის ხარჯით. კომისიას და მთავრობას დაუდგენია, ამ კანონის გატარება მიანდოს შინაგან საქმეთა მინისტრს და არა განათლებისას. ამ გადაწყვეტილებას მომხსენებელი იმით ასაბუთებს, რომ ძლიერ ბევრ ალაგას სკოლა არ არის და მაშასადამე შინაგან საქმეთა სამინისტროს უფრო მეტი საშუალება აქვს განახორციელოს ეს კანონი ვინაიდან ადმინისტრატიული აპარატი უფრო სათანადო დონეზეა მოწყობილი და კომისართა საშუალებით განახორციელებს ამ კანონსაო. შემდეგ კი, განზრახულია, ეს სამკითხველოები ერობას გადაეცეს ხოლო მისი კანტროლი, როგორც სკოლებისა, ევალება განათლების სამინისტროს.

არ. ჯაჯანაშვილი (სოც.-ფედ.) ბიბლიოთეკების და სამკითხველოების გახსნა რომ საჭიროა, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირია. არ მგონია იყოს ისეთი ვინმე, ვინც ამ საკითხს სხვანაირად სჭრიდეს. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე მოსაზრება მოგახსენოთ იმის გამო, რომ მთავრობას სამკითხველოების გახსნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაუვალებია. როდესაც რუსეთში ყოველნაირ კულტურულ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის უწყების ფარგლებში აქცევდა, ამას განსაზღვრულ მიზნით სჩადიოდა. მას ჰსურდა კულტურული დაწესებულებანი თავისი პოლიტიკის გასატარებელ საშუალებებად გამოეყენებინა (ხმები მარჯვნიდან: ეხლაც ეგრეა.) მე კი მგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს. იგი, ალბად ასე ფიქრობდა: როგორც ბიბლიოთეკები ისე სხვა ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი შემდეგში უნდა გადაეცეს საერობო თვითმართველობებს. რადგან თვით ერობის შექმნის საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს აბარია, ამიტომ ეს უწყება წინდაწინვე ამზადებს და აგროვებს მასალას, რომელიც შემდეგ ერობას გადაეცემა. მაგრამ მომავალი ერობისათვის მასალას მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ამზადებს. სახალხო განათლების სამინისტროც აარსებს სკოლებს, რომლებიც შემდეგ საერობო თვითმართველობებს უნდა გადაეცეს, ჩვენ არავითარ საბუთს არ ვხედავთ კულტურული საქმე ბიბლიოთეკების დაარსებისა ხელიდან გამოვგლიჯოთ განათლების სამინისტროს და სოფლის მასწავლებლებს;—ეხლა კანონის ძალით: ბიბლიოთეკებს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ არა თავისი უწყების, არამედ კომისარების საშუალებით, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი აგენტები არიან ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახალხო განათლების სამინისტროს უკვე აქვს საკმაოდ მომზადებული აპარატი, რომლის საშუალებითაც იგი მოახერხებს ამ კულტურული საქმის განხორციელებას. ამიტომ, ჩვენ ვთხოულობთ, ეს საქმე ჩაჰბარდეს სახალხო განათლების სამინისტროს. ხოლო, რა წესით უნდა მოხდეს, ამას გამოვარკვევთ წინადადების შეტანით მაშინ, როცა კანონის მუხლობრივ განხილავს შეუდგებით.

ი. თევზაძე (ს. რ.) კანონს მისაღებად სთვლის, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელად და მიუღებლად მიაჩნია კომისიისა და მთავრობის მოსაზრება რომ ამ კანონის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს. ორატორი აღნიშნავს ეს იმას ჰგავს, რომ ბავშვი დედის ნამდვილ ძუძუს მოვსწყვიტოთ და ძიძას ჩავაბაროთო.

ნ რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი). ეს საკითხი, რომლის მნიშვნელობასაც ყველა ადასტურებს. მთავრობას უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია, დადგენილია, შემდეგ ეს განხორციელებული საქმე ერობას გადაეცეს და მისი კონტროლი განათლების სამინისტროს დაეკისროს. მინისტრი დაწვრილებით ეხება ამ საკითხს და განმარტავს, ვინაიდან ბევრგან სკოლა და მასწავლებელი არ არის, მთავრობამ დაადგინა ამ საქმის დაუყოვნებლივი განხორციელება ადმინისტრაციის დახმარებით შესძლოს რაიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარეობაო.

შ. ქარუმიძე (დამ. ნაც.-დემ.) ეხება ამ საკითხს და ამბობს: ვისკენაც არ უნდა იყოს ჩვენი სიმპატია, მაინც საჭიროდ ვსთვლით ყველა უწყებას თავის ნამდვილი და პირდაპირი ხელმძღვანელი ჰყავდეს. დროა ჩრდილოეთის ტრადიცია სავსებით დავივიწყოთ სახელმწიფოს მართვაში. ყველა სამინისტრო თავის საქმეს თვით უნდა აკეთებდეს და ყველა შესაფერის ნდობით უნდა სარგებლობდეს.

ნ. ცინცაძე (ს.-დ.) კამათი ისეთ სფეროში გადავიდა რომ თავს უხერხულად ვგრძნობ. აქ იმაზე ლაპარაკობენ, რის შესახებ სულაც არ უნდა ყოფილიყო მსჯელობა. ნამდვილად კი ამ საკითხს ფორმალურისა და პრაქტიკულის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ. სწორედ ამით ხელმძღვანელობდა მთავრობა და კომისია როცა ამ საქმის განხორციელება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანდო.

წინადადებით კამათი სწყდება. მომხსენებელი უპასუხებს ორატორებს და მუხლობრივ იხილავს კანონს.

არ. წერეთელს შესწორება შეაქვს ამ კანონში ბიბლიოთეკები გაიხსნას მარტო სოფლის სამმართველოსთან კი არა, არამედ ყველა სოფლის საზოგადოებასთან. შესწორება მიღებულია.

არ. ჯაჯანაშვილი (სოც.-ფედ.) მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, მაინც საჭიროდ მიმაჩნია შესწორების შეტანა; მაგრამ არა იმიტომ, თითქოს ჩვენ ნდობა არ ნდობის საკითხი გვაინტერესებდეს. თუმცა აქ ერთი ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთნაირის ნდობით უნდა მოვეკიდოთ ორივე სამინისტროსაო, ამისდამიუხედავად ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ არც ერთს ამ სამინისტროს არ ესაჭიროება ნდობის გამოცხადება განსაკუთრებით იმ ფრაქციის წარმომადგენლისაგან, რომელიც ყოველ დღე უნდობლობას უცხადებს მთავრობას (სიცილი). შემომაქვს ასეთი შესწორება მეექვსე მუხლისა, იქ, სადაც სწერია „მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“. სიტყვები შეიცვალოს ასე: „მიენდოს სახალხო განათლების სამინისტროს“.

არ. ჯაჯანაშვილს კვლავ წინადადება შეაქვს: ამ კანონის განხორციელება დაევალოს განათლების მინისტრს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

კენჭის ყრით ეს წინადადებაც უარყოფილია. კანონი დამტკიცებული და მიღებულ იქმნა.

კანონ-პროექტი შავი ქვის გადასაზიდ ტარიფის გადიდებისათვის.

ი. ლორთქიფანიძე კითხულობს კანონს რომლის ძალითაც ჭიათურის შავი ქვის რკინის გზით გადასაზიდი ტარიფი შესამჩნევად უნდა გადიდდეს.

ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა ბერლინში ხელშეკრულება დასდვეს, რომლის ძალითაც ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა არენდით გადადის სხვა საზოგადოების ხელში, რაიც მოკლე ხანში უნდა განხორციელდეს. მაშასადამე ასეთი ტარიფის მომატება რამოდენიმე დღით იქნება ჩვენს ხელში და შემდეგ კი ამ მომატებით ისენი ისარგებლებენ ვის ხელშიაც რკინის გზა იქნება.

გზათა მინისტრი: ეს კანონი წარმოდგენილი იყო მაშინ, როცა ჩვენ არ ვიცოდით ბერლინის ხელშეკრულების ამბავი, მაგრამ კომისიაში დაიგვიანა და დღევანდელ წესრიგში შემოუტანიათ.

ფინანსთა მინისტრი მოითხოვს რომ ეს კანონი მაინც მიღებულ იქმნას ვინაიდან ბერლინის ხელშეკრულება არც იმდენად უკარგავს მნიშვნელობას.

კ. ნინიძე. სოც. დემ. ფრაქციის სახელით აცხადებს შესაძლებელია და საჭირო ამ კანონის განხილვა და მიღებაო.

იმართება აზრთა გაცვლა გადადებისა და განხილვის შესახებ. კენჭის ყრით სწყდება კანონის განხილვა. მუხლობრივ განხილვის დროს შენიშვნებისა და პასუხისათვის მონაწილეობენ ა. ასათიანი, გზათა მინისტრი ნ. ნიკოლაძე და ფინანსთა მინისტრი, რომელიც აცხადებს: ფოთში ჩაზიდულია მრავალი შავი ქვა და მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ეს ტარიფის გადიდება იმ გაზიდულ ქვასაც შეეხოსო.

თავმჯდომარე ამ განცხადებას კანონში ცალკე მუხლად ათავსებს.

ა. ასათიანი ამ მუხლს უარჰყოფს და მის გამოტოვებას მოითხოვს, ვინაიდან იმ გაზიდულ ქვას რკინის გზასთან არავითარი კავშირი აქვს და უსამართლო გადასახადად დაედება ეს ბაჟიო. თავმჯდომარე კრებას ხუთი წუთითა სწყვეტს რადგან ეს საკითხი იურიდიული ხასიათისაა და საჭიროა ფრაქციებმა დასკვნა გამოიტანონო.

კრების განახლებისას **ფინანსთა მინისტრი** აცხადებს: გამოთქმულ მოსაზრებათა ფრაქციათა შეხედულების გამო, მთავრობა წინააღმდეგი არ არის რომ აღნიშნული მუხლი სავსებით მოიხსნას ამ კანონიდანო. პარლამენტი კენჭის ყრით კანონს ადასტურებს. კრება დღის 4 საათზე სწყდება.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი 18 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. უკანასკნელ დღეებში ჩვენ დავტოვეთ ფლანდრიის ჩრდილო საფრანგეთი და ქალაქები ოსტენდე, ტერკუენი, რუბე, ლილი, დუე და უკანა პოზიციებზე გადმოვედით. ბრიუგესა და ლისს გუშინ მტერმა რამოდენიმეჯერ შემოგვიტია დიდი ძალებით, მტერი ყველგან მოვიგერიეთ. ინგლისის რაზმები, რომელნიც შემოიჭრნენ ლისისის იქითა მხარეს და კორტიეის სამხრეთით. კონტრატაკით უკუვაგდეთ. ლილის და დუეს აღმოსავლეთით მტერთან პატარა შეტაკებებია. ლე-კატოსა და უაზის შუა ახევ განახლდა ბრძოლა. ინგლისელები, ფრანგები და ამერიკელები კვლავ შეეცადენ გაერღვიათ ჩვენი ფრონტი, რომლის დროს მრავალი სამხედრო მასალა დახარჯეს. ლე-კატოს ორივე მხრიდან ჩვენს მოწინავე პოზიციებზე მოტანილი მტრის იერიშები დამარცხდა, ლე-კატოსა და ეზენვილის შუა მტერმა დაიპყრო ჩვენი პოზიციის ნაწილი, ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევაჩერეთ მტერი ჩვენი საარტილერიო პოზიციების წინ. ლა-ვარიესთან, მულატრთან და ეზონვილის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, იქ სადაც მტერმა გაარღვია ეს ხაზები, ჩვენ მტერი განვდევნეთ და კონტრ-იერიშებით უკან დავახევინეთ. ეზონვილი და სის სამხრეთით მდებარე ადგილები, მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ. შუადღისას განახლებული იერიშებიც მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე იერიშები უაზის ფრონტის წინააღმდეგ ორინიის ჩრდილოეთით.

ზავის გარშემო

ლიონი 17 ოქტ, (საფრანგეთის რადიო) საფრანგეთის პრესამ ერთხმად მოიწონა კილო, რომლითაც შედგენილია შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი გერმანისადმი. გაზეთი „ტამპი“ სწერს: გერმანიის მართველებს ჰსურდათ ხალხის დარბევა და კიდევაც მიაღწიეს ამ მიზანს. ამისი პირველი შედეგი ის არის, რომ თავისივე ხალხი, რომელსაც ზავი სწყურია, უყურებს მათ როგორც მთავარ დამნაშავეთ ზავის მიღწევას დაგვიანებაში.

მიუნხენი, 17 ოქტ. ბავარიის პალატის დღევანდელ მინისტრ-პრეზიდენტმა ჰანდლმა განმარტა საგარეო და შინაურ საქმეთა ვითარება, დაახასიათა სამხედრო მდგომარეობა, რომელსაც უწოდა თავდაცვის ომი, საიდანაც გერმანიის იარაღის ღირსება უმწიკვლოდ გამოვა აღნიშნა აგრეთვე სამართლიანი ზავისადმი მისწრაფება. რომლის დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გერმანიას არ მოსთხოვენ მიიღოს ისეთი პირობები, რომელიც დაამცირებს მის ეროვნულ ღირსებას. შემდეგ მან აღნიშნა ბავარიის ერთგულება კონსტიტუციისადმი და ბოლოს მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ ბავარიის მთავრობა მზადაა პალატასთან ერთად იმუშაოს, სადაც ხალხის წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ მართა გამგეობაში.

ამხ. სიმონ შავგულიძე

დაიღუპა ბათომში ანარიის ფორტზე ნახევარ წლის წინად. დღეს ქუთაისში მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდია

გერმანიის პრესა 17 ოქტ. „ფრანკფურტის გაზეთი“ პრეზიდენტ ვილსონს პასუხის გამო სწერს; „კილოს და შინაარსის განსხვავება პრეზიდენტ ვილსონის პირველსა და მეორე ნოტას შორის თვალსაჩინოა. იმ დროს, როცა პირველი პასუხი უფრო შეკითხვა იყო და გერმანიის პასუხი იმედს იძლეოდა რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ ომი ფაქტიურად დასრულდებოდა და საზავო მოლაპარაკებას დავიწყებდით, ეს იმედი. ვილსონის ახალი ნოტის გამო დაიკარგა. დღეს ვეჭვობთ, რომ ზავი მუდმივი ან დროებითი მალე შეიკრას. რაც შეეხება სისასტიკეს რომელზედაც პრეზიდენტი ვილსონი მიუთითებს გერმანიის მთავრობას ვუპასუხებთ, რომ მხოლოდ ზავს შეუძლიან მოსპოს. საერთოდ გერმანიას არ შეუძლია უკამათოდ მიიღოს ამგვარი ბრალდებები. ცხადია გერმანიის მთავრობა დიდხანს არ დააყოვნებს დამნაშავეთა ძიება გასამართლებას თუ კი რაიმე დანაშაულს მართლა აქვს ადგილი.

საფრანგეთში. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამს სრულ თანხმობას ნაციონალურ თავდაცვის საქმეში.

ამასთან ერთად პარტია თავის წმინდა მოვალეობათ სთვლის გაასკეცოს შრომა და ენერგია მიმართული ამ სისხლის მღვრელ ომის მოსპობისაკენ თანახმად ინგლისის მუშათა კონგრესის დადგენილებისა, საფრანგეთის სოციალისტური პარტია შეებრძოლება ყველა მთავრობას, რომელიც ხელს შეუშლის ინტერნაციონალის შეკრებას და აწარმოებს-რა იმპერიალისტურ პოლიტიკას და უარყოფს ყველასათვის მისაღებ ზავის პირობებს. ამის გამო პარტია ავალებს თავის გამგეობას და აგრეთვე პარლამენტის ფრაქციას, რომ მათ მიიღონ ყოველგვარი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად თვით სამხედრო კრედიტის უარყოფამდე.

გერმანიაში. ჯერ კიდევ სანამ ვილსონის საპასუხო ნოტის შინაარსი არ იცოდნენ ბერლინში, კავშირის საბჭომ შეიტანა რეიჰსტაგში კონსტიტუციის § II შეცვლის პროექტი, რომლის მიზანი იყო ომის და ზავის საკითხი ხალხის. წარმომადგენელთ გადაეწყვიტათ. პარტიათა უმრავლესობამ გამოიმუშავა პროგრამა, რომელიც მიიღო მთავრობამ, რომლითაც სამხედრო უწყება უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქოს და სამხედრო მთავრობას არ უნდა ექმნეს გავლენა პოლიტიკაზე

ჯერ-ჯერობით ვილსონის ნოტა არ გვაძლევს იმედს დავინახოთ მასში ზავის ინიციატორი. როგორც სჩანს, ვილსონი თავის მოკავშირეებთან კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებას, რომლის შედეგს, ალბათ, ახალ ნოტაში გავიგებთ. საქმის გაჭიანურების დროს კი ინგლისისა და საფრანგეთის პრესაში იმგვარ წერილებს ვკითხულობთ, რომელიც ზავის მოახლოვებას არ გვპირდება. ამიტომ ისინი ვისაც ზავი სურს თავისი სურვილებით შორს არ უნდა წავიდეს. გერმანიის ხალხი ასე არასდროს არ ყოფილა ზავის მომხრე, როგორც ახლა, მაგრამ შეიძლება ეს სურვილი შეიცვალოს, თუ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომლისგან აშკარა იქნება რომ მოწინააღმდეგეთ არ სურთ აიცილონ გერმანიის ხალხს უკანასკნელი და გადამწყვეტი შებრძოლება. მოხდება ეს შებრძოლება არსებულ, თუ მომავალ მთავრობის დროს,—მისი შედეგი იქნება დიდი და საბედისწერო ორი იდეალის განსახორციელებლად: გერმანიის დემოკრატიიზაციისა და ეროვნებათა ლიგის დაარსებისა, იდეალები, რომელთა განხორციელება მოწინააღმდეგეთა რწმუნებით უნდა იყვეს ამ სისხლისმღვრელ ომის შედეგათ. ზავის იმედების დამარცხებას შეუძლია აღადგინოს ძველი წყობილება, რომელსაც სძაგს ახალი სახალხო მთავრობა.

თეოდორ ვოლფი „ბერლინერ ტაგებლატის“ მოწინავე წერილში ვილსონის საპასუხო ნოტის შესახებ სწერს: „აქამდის თავის სიტყვებში და წერილობითი მიმართვაში პრეზიდენტი ვილსონი ყოველთვის ანსხვავებდა გერმანიის ხალხს იმათგან, ვინც დღემდის განაგებდა მათ ბედ იღბალს. იმავე დროს ვილსონი არა ერთხელ აღნიშნავდა თავის სიძულვილს გერმანიის ძველ გამგეობის სისტემისადმი და გამოსთქვამდა თავის სიყვარულს გერმანიის ხალხისადმი. თუ დავიჯერებთ, რომ ვილსონს მართლა სურს ხალხთა მორიგება და მეგობრული კავშირის დამყარება, დღეს მის სიტყვებს არ უნდა ექნეს გამარჯვებულის კილო, რომელიც კარნახობს თავის ნება-სურვილს. ძნელია იქ სამართლიანი ზავის მიღწევა, სადაც პოლიტიკური მოღვაწე ლაპარაკობს ისეთი ენით, რომელიც ეყრდნობა ძალადობის თეორიას.

ახალი ამბავი

◆ **მეურნეს გაქურდვა.** ოქტომბრის 18-ს ღამით კოოპერატივ „მეურნეს“ ეზოდან ბოროტგამზრახველებმა ფანჯარა გამოამტვრიეს და მოიპარეს ფეხსაცმელები და სხვა საქონელი 50,000 მანეთად ღირებული.

◆ **შახატუნის სიკვდილი.** ოქტომბრის 18 ს ღამით გარდაიცვალა ყოფილი ამიერკავკასიის მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი შახატუნი.

ყარაბაღში. ოსმალთა წინადადებაზე იმის შესახებ, რომ ყარაბაღელნი უბრძოლველად დანებდნენ. შუშაში შესდგა ადგილობრივი მცხოვრებთა ყრილობა, სადაც დადგენილ იქმნა დამორჩილდნენ ადერბეიჯანის მთავრობას, მხოლოდ იარაღი არ ჩააბარონ. ეს დადგენილება სისრულეში არ იქმნა მოყვანილი. ასკერები შევიდნენ ყარაბაღში და მცხოვრებლებს იარაღი ჩამოართვეს.

◆ **ადელხანოვის შვილის გატაცება.** ოქტომბრის 17-ს ღამის 1 საათზე ადელხანოვის ცოლი თავის ვაჟთან ერთად ეტლით მოდიოდა მოედანზე. მათ წინ შეხვდნენ შეიარაღებული კაცები, ვაჟი ეტლიდან ჩამოიყვანეს, აუხვიეს თვალები და დედას კი უთხრეს, რომ შეუძლიან წასვლა, უთხრეს რომ ვაჟს მაშინ დაუბრუნებენ ½ მილიონ მანეთს რომ გამოატანს იმ კაცს, ვისაც ისინი გამოგზავნიან.

◆ **კარლ მარქსის სალამო.** დღეს საღამოს „ცენტრო კლუბ“-ში კარლ მარქსის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავად შესდგება საღამო.

◆ **მდაბიო მოქალაქეთა გამგეობა.** ოქტომბრის 21-დან ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა გამგეობა უქმდება.

◆ **სასურსათო კომიტეტის კომისია,** ტფილისში ჩამოვიდა კალმიკოვის თავმჯდომარეობით თერგის ოლქის სასურსათო კომიტეტის კომისია, რომ საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულება დასდონ საქონლის გაცვლის შესახებ. კომისიის ცნობით თერგის ოლქში ისეთი მოსავალი როგორც წრეულს იყო, არასოდეს არ ყოფილა.

◆ **კონფერენცია.** კვირას, ოქტომბრის 20-ს მთავარ სამმართველოში დილის 12 საათზე გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთა წარმომადგენლების კონფერენცია. [illegible] ფრიად საყურადღებო [illegible]

◆ **წრის კრება** [illegible] წრის ბინაზე მიხეილის ქ. № 102, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია წრის საზოგადო კრების გაგრძელება.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ფრაქციის და მთავარი კომიტეტის სხდომა დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 20 საღამოს რვა საათზე ფრაქციის ბინაზე. განსახილველია ფრიად ყურადსაღები საკითხები. ამიტომ პრეზიდიუმი სთხოვს წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

—

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზააციათა წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 საათზე ტფილისის პარტიულ კლუბში. საგანი ყრილობისა 1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა. 2. მიმდინარე საკითხები 3. საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები. ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა მაინც.

—

სტუდენტების კრება. კვირას, 20 ოქტომბერს საღ. 5 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფილისში მოსწავლე სტუდენტ სოც.-ფედერალისტთა კრება. ვინაიდან მეტად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ყოველი სტუდენტი ამხანაგი მოვალეა დაესწროს კრებას.

—

კვირას, ოქტომბრის 20-ს დილის 11 ს. პარტიულ დარბაზში დანიშნულია საქართველოს რკინის გზების სოც.-ფედერალისტთა ცენტრალურ კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველია ფრიად. სასწრაფო და აუცილებელი საკითხები. დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

—

ტფილისის კომიტეტის კრება დანიშნულია ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე პარტიულ კლუბში. დღის წესრიგში შედის შემდეგი საკითხები: 1. პრეზიდიუმის არჩევნები, 2. ანგარიშების ჩაბარება ძველი კომიტეტისაგან, 3. არჩევა ერთი წარმომადგენლისა მთავარ კომიტეტში და ერთი წევრისა პარტიულ ტრიბუნალში, 4. შემუშავება გეგმისა მომავალ მუშაობისათვის. კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწრნენ. საჭიროა აგრეთვე კანდიდატების დასწრებაც.

ამხანაგ სტუდენტების საყურადღებოდ

(დღევანდელ კრების გამო)

ამხანაგებო! განსაკუთრებული მომენტის წინაშე ვდგევართ. უკვე ნახევარი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. და თავი რომ დავანებოთ იმ ღირებულებას ამ ფაქტისას, რომელიც მას თავისთავად აქვს, მხედველობაში ჩვენთვის სტუდენტობისათვის, ის გარემოებაა მისაღები, რომელიც ამ მოვლენას თანა სდევს. დამოუკიდებელი საქართველოს მტკიცე საფუძველზე არსებობის, და მისი ცხოვრეიის გადახალისების საკითხი დიდ მოვალეობას აკისრებს თავზე ყოველ შეგნებულ ქართველს. მით უმეტეს ამ მოვალეობას ვერსად ვერ გაექცევა სტუდენტობა, რომელთა წრიდანაც გამოსულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა მომავალში თავს უნდა იდვან მშობელი ქვეყნისა და მისი მშრომელი ხალხის ბედის მართვა. განსაკუთრებით დღევანდელი მომენტის სირთულე კიდევ მეტს ფხიზელ და დაუცხრომელ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან.

შექმნილი პირობების წყალობით ჩვენი მთავარი ძალა დღეს ტფილისში დარჩა და სოფელი კი დაცარიელდა. ამავე დროს ტფილისში მრავლად თავი მოიყარა იმ ნაწილმა ჩვენი პარტიისამ, რომელსაც მუდამ დიდი როლი უთამაშნია ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში. ეს სტუდენტობა გახლავსთ. მისი ღვაწლი პარტიის წინაშე მომავლის დაფასების საქმეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არსებითად უნდა გამოვიყენოთ ყოველი მდგომარეობა, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. დღეს-დღეობით ტფილისის უმაღლეს სასწავლებლების წყალობით ტფილისში მრავალ-რიცხოვან სტუდენტობამ მოიყარა თავი. ამავე დროს პარტიას მრავალი საჭირ ბოროტო საკითხები აქვს განმზადებული, რომლისათვისაც დაუცხრომელი მუშაობის წარმოება არის საჭირო. ჩვენი ბედი დამფუძნებელი კრების არჩევნებზეა დამოკიდებული. აქ უკვე საბოლოოდ გამოირკვევა, თუ ვის აძლევს თავის ბედს ჩვენი ხალხი და ამ უდიდეს ფაქტს ჩვენი ცხოვრებისას

ძლიერ მომზადებულნი უნდა დავხვდეთ. ამ საქმისათვის საჭირო იქნება არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მუშაობის წარმოება და ამ პროცესის სათანადოდ ჩატარება კი ჩვენგან ძალთა უდიდეს მობილიზაციას მოითხოვს. ჩვენი სტუდენტობა აქაც უმთავრესი ძალა უნდა გახდეს ჩვენი პარტიისა, ძალა, რომელიც არსებითად ჩაებმება ამ მუშაობაში, შეისისხლხორცებს მას და შეაგნებინებს ხალხსაც.

დიახ ამ მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობის ნიადაგზე დასაყენებლად, მისი გარკვეულ კალაპოტში ჩამოსასხმად, იწვევს საზოგადო კრებას ჩვენ პარტიულ სტუდენტების კრების მომწვევი კომისია და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ყოველი სტუდენტი შეგნებულად დაესწრება ამ კრებას.

ამ კრებაზე დაწვრილებით უნდა შემუშავდეს ჩვენი სამოქმედო გეგმა. აქ ნათლად უნდა გამოირკვეს ჩვენი სათანადო სიყვარული და მომზადება ამ საქმისათვის და ვინც ამ კრებას არ დაესწრება, ის შეგნებულად უარს იტყვის პარტიულ მუშაობაზე. ის მოღალატეა ჩვენი.

მაშ იცოდეთ ამხანაგებო—დღეს 5 საათზე ყველანი გამოცხადდით პარტიულ საკრებულოში. დღეს ყველამ უარი უნდა სთქვათ თქვენ კერძო საქმეზე. ყველანი ჩვენი წმინდა მოვალეობის ასასრულებლად მივდივართ.

გახსოვდეთ თქვენი მოვალეობა

იქს.

ვერა ვარაზაშვილის საფლავზე

სოფელი ცხრუკვეთი გაშენებულია მაღალ გორაკზე, სადიდანაც მედიდურად დასცქერის მდინარე საძალისხევს. ამ სოფლის შუაგულში, მაღლობზე სდგას პაწია თეთრი შენობა, ამ სოფლის წმიდა გიორგის სახელობაზე აშენებული ეკლესია.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს ეკლესია სასტიკი, შეუბრალებელი, დაუნდობელი, რადგან ხშირად იტაცებს სოფ. ცხრუკვეთელების შვილებს, მამებს, დედებს, ცოლებს, უდროოდ თვის კალთების ქვეშ ახრჩობს ახალგაზრდობას, სოფ. ცხრუკვეთს მაინც უყვარს იგი, რადგან ბოლოს დამშვიდებული, დაფიქრებული მას აბარებდა თავის შვილებს და თან შენანებული ბუტბუტებს: ნუ, მიწყენ, ნუ გამრისხავ თუ გაწყენინე, კარგად შემინახე ჩემი ძვირფასიო. და აი აქ, ამ სასტიკ-დაუნდობელ მაგრამ იმავე დროს იმედის მომცემ ეკლესიის გალავანში, რომელიც დაფარულია მრავალ-რიცხოვან უზარ-მაზარ მუხებით აქ ბუჩქებით დაფარულ ბეგის ძირში, სამუდამო ძილს მისცემია ჩვენი ძვირფასი ვერა, სამუდამო ძილს მისცემია ის, რომელიც სხვას სიფხიზლეს უქადაგებდა სამუდამოდ გაგვშორდა ის, ვისაც ჰსურდა ყველაზე ფხიზლად და დიდხანს ემუშავნა.

ძნელია სიკვდილი, მაგრამ უფრო ძნელია მისთვის, რომელიც ჯერ არ დამტკბარა ჯანსაღი სიცოცხლით, რომელსაც სწყურს იცოცხლოს დიდხანს მხოლოდ მიტომ, რომ შეეწიროს, მტლად დაედვას მოყვარეს, სამშობლოს, შვილებს, ქმარს, ნათესავებს. ასეთი იყო ვერა. ასეთი იყო მისი ცხოვრებაც გატაცებული მაღალი, ცოცხალი, სულის ჩამდგმელი იდეალებით.

დღეს-კი იმ მაღალი, მაცოცხლებელი იდეალების მატარებელი სამუდამოდ მოგვწყდა ჩვენს წრიდან და დაგვაობლა.

ფართო ასპარეზის მაგიერ, რომელიც ეპირვებოდა მის გონებას, სულს, გულს, მუხთალმა ბედმა უდროოდ არგუნა ცივის კლდის აკლდამა, რომელსაც მძლავრად შემოუხვევია ცივი მკლავები და მაგრად გულზე მიუკრავს თითქო ეშინია, აღარავინ გამამტაცოსო. შიგნით აკლდამაში გამეფებულია საშინელი სიკვდილი, მხოლოდ დილით, როდესაც მზის მაცოცხლებელი სხივები უხვად შეებნევიან სქელ მუხების ტოტებში, მაშინ იქაც შეაფრქვევს ხოლმე თავის მადლიან მაცოცხლებელ სინათლეს და მთელ ოთახს სიხარულს მოჰფენს. მზის სხივებში ნაღვლიანად გამოჰკრთის ზეთის ლამპარი, რომელიც თავით აქვს ჩამოკიდებული საფლავს. აქეთ-იქით კედლებზე ჩამოკიდებული იქნება განსვენებულის გვირგვინები, რომელიც სხვა და სხვ. ჯგუფებისაგან და მეგობრებისაგან იქმნა მიტანილი.

აკლდამა ჯერ კიდევ მოუთავებელია ასეთია, სამუდამო ბინა ჩვენი ვერიკოსი. ჩვენ, ცხრუკვეთის ახალ-გაზრდობას, მუდამ გულში ხატად გვექნება ჩასვენებული შენი ხსოვნა ძვირფასო ვერიკო. მხოლოდ ეს გვაწუხებს, რომ გამოგვაკლდა შეუდარებელი მეგობარი და მოძღვარი ჩვენი ყმაწვილობისა.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში უცხოეთში გადახვეწილს მხოლოდ ის აზრი მასულდგმულებდა, რომ ოდესმე ველირსებოდი სამშობლოში დაბრუნებას და ვნახავდი ჩემ ძვირფასებს ისევ უვნებლად, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, ბევრი, ძალიან, ბევრი დამკლებია.

მსუბუქი იყოს შენზე ეგ მძიმე ლოდი ძვირფასო ადამიანო და ძვირფასო დაო ვერა!

გრ. წ—ლი.

აწმყო და მომავალი *)

3.

საერთაშორისო მდგომარეობა. პატარა ერები. საქართველოს ბედი.

მეტად საყურადღებოდ და დიდმნიშვნელოვან ხანაში ვცხოვრობთ. საერთაშორისო ომი, რომელიც ეს ხუთი წელია შეუწყვეტლივ სწარმოებს, ეხლა უფრო მეტი სიმწვავით წარმოსდგა ჩვენს თვალწინ. ერთის მხრივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს გერმანიასა და მის მოწინააღმდეგებს შორის, მეორეს მხრივ საზავო წინადადებები ისმართება. გერმანია—ეს უძლეველი გმირი თანამედროვე ომისა, თითქოს დასუსტდა. ფიქრობენ, ეს გამოიწვია ბულგარეთის გამოსვლამ კოალიციიდან. თვით გერმანიაში ბულგარეთის ქცევას ღალატს უწოდებენ. მართლაც და ბულგარეთია მიზეზი, თუ გინდ საბაბი იმ მოძრაობისა, რომელიც დაიწყო ზავის სასარგებლოდ. როგორც ვიცით ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე დაითო გამანადგურებელი ომის ცეცხლი და ამავე ნახევარ კუნძულზე მზადდება ნიადაგი ამ ცეცხლის ჩაქრობისა. ასეა თუ ისე ჩვენ მომსწრე ვიქნებით ახლო მომავალში ან საერთაშორისო მშვიდობიანობისა და ან სამარი მოქმედების უფრო გაცხოველებისა. ამ საერთაშორისო ჭიდილში მძლავრი ერები კიდევ შესძლებენ შექმნან თვისი არსებობის სასარგებლო პირობები. ამისათვის ჩვენ უფრო გვაინტერესებს პატარა ერებისა და კერძოდ ქართველი ერის ბედი. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ უფრო მეტი ზარალი და მარცხი იგემეს იმ პატარა ერებმა, რომელნიც კი ჩაებნენ ძალაუნებურად ომის ფერხულში. ამრიგად განადგურდა ბელგია, სერბია, მთაშავეთი, პოლონეთი, სომხეთი აგრეთვე საქართველომაც დიდი ზარალი ნახა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პოლიტიკურ თავისუფლებას; ამ უკანასკნელად კი ბულგარეთი გადიქცა საომარ ასპარეზად. ასე რომ ევროპის იმპერიალისტები პატარა ერების ზურგზე აშენებენ თავიანთ ბედნიერებას. „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო“, რომ არის ნათქვამი სწორედ ასე მოუვიდა პატარა ერებს. მაგრამ რა იქნება მაშინ, როცა საერთაშორისო ტრაგედია დასრულდება? მისცემს თუ არა ზავი პატარა ერებს და კერძოდ ქართველ ერს არსებობის გარანტიას? და ომისა და რუსეთის რევოლიუციის პროცესში ნაშობი საქართველოს დამოუკიდებლობა შეინარჩუნებს თუ არა თვის სახელმწიფოებრივობას? აი კითხვები, რომლებიც ჩვენს წინა სდგას და თხოულობს პასუხს.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თანამედროვე ომის დაწყებიდანვე ბევრი იმ აზრის იყო, რომ ეს ომი ერთა განმათავისუფლებელი იქნებოდა და აგრეთვე ევროპის შინაგან სახელმწიფოებრივ წყობილების გარდამქნელი. და, როცა დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას ვითვალისწინებთ, ჩვენთვის ერთთავად ცხადი ხდება ეს წინასწარმეტყველება.

პირველად ყოვლისა ავიღოთ რუსეთის ყოფილი იმპერია და მისი შემადგენელი ერები, რომელნიც განიცდიდნენ უაღრეს ეროვნულ ჩაგვრას. ომს ვერ გაუძლო რუსეთმა და სასტიკად დამარცხდა. ამ დამარცხების ნიადაგზე აღმოცენდა რევოლიუცია და ამ რევოლიუციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძარღვათ ეროვნული საკითხი გადიქცა, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ რუსეთი დანაწილდა ეროვნულ ერთეულებად. ჩვენის ფიქრით, ამ ეროვნულ ერთეულების შეერთების ცდა რომ ისინი დაემორჩილონ ერთ რომელიმე ერის ნებისყოფას, უნაყოფოდ ჩაივლის; ვერც ბოლშევიკური, რუსეთი და ვერც თუგინდ ალექსეევისეული მოხალისეთა ჯარი ვერ შესძლებს შეკრიბოს და თავის ნებისყოფას დაუმორჩილოს რევოლიუციისაგან ერთხელ განთავისუფლებული ერები. ზოგ პოლიტიკოსებს ის ასულდგმულებს რომ ფიქრობენ: მოკავშირენი ჩაერევიან რუსეთის საქმეებში და აღადგენენ ძველ რუსეთსო. ამაზე ერთი უნდა ითქვას, რომ არც მოკავშირეთათვის და არც თვით გერმანიისათვის ხელსაყრელი არ არის გაერთიანებული ძლიერი რუსეთის იმპერია, მაორე ის, რომ კიდეც რომ მოინდომონ მოკავშირეებმა რუსეთის გამთელება, ძვირად დაუჯდებათ. იქნება ზოგიერთს საბოლოო ზავის იმედი აქვს? მაგრამ, ჩვენ როგორც ვიცით საზავო პირობებს სარჩულად ვილსონის პირობები უნდა დაედვას. იქ—კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ უნდა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნებათა თავისუფალი განვითარებაო. ჩაგრულ ერთა სასარგებლოდ ღაღადებს აგრეთვე ის ფაქტი და ხელს უწყობს დიდებითად ნაციონალურ საკითხის გადაჭრას ის, რომ ეროვნული მოძრაობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც მწვავე ხასიათს იღებს. მაგალითად, ავსტრიაში მთელი რიგი ეროვნებათა დამოუკიდებლობას თხოულობს.

რაც შეეხება იმ პატარა ერების საკითხს, რომლებიც ამ ომში განადგურდნენ, მაზე ორივე მხრის წინადადებებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ისინი უნდა აღდგენილ იქმნენ. არა მარტო უკვე არსებულ დამოუკიდებელ ერთა აღდგენას მოითხოვენ, არამედ ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე პოლონეთისა, სომხეთისა და სხვა ეროვნებათა აღდგენაზე.

საფიქრელია, რა ბედი ეწევა კერძოდ საქართველოს.

უკვე ფაქტია, მთელ ევროპისათვის, რომ წინა-აზიაში, ევროპის კარებთან შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა. რომელიც იცნეს მეზობელმა სახელმწიფოებმაც.

უნდა უეჭველად დაისვას საზავო კონფერენციაზე საქართველოს საკითხი. ჩვენ მეცადინეობაზეა დამოკიდებული, რომ დადებითად გადაწყდეს ჩვენი ერის ბედი მომავალ საზავო კონფერენციაზე და საამისო მუშაობა გვმართებს ყველა სახელმწიფოში.

ვ. რამინიშვილი.

---

*) ამ სათაურით გაზ. „ხალხის მეგობარში“ იყო ორი წერილი მოთავსებული. ვ. რ.

მოწერილი ამბები

წალენჯიხა. რაიონის კომისარს ბელქანიას, რომელსაც მონდობილი აქვს მთელი რაიონის დაცვა ამ უკანასკნელ ხანებში დაუჭერია სამი საეჭვო პირი თვით ხსენებულ სოფლის მკვიდრნი სახელდობრ: 1) იაკობ გამისონია, 2) ფარნა კალანდია და ძუკუ გამისონია, და მეორე დღესვე გაუგზავნია ზუგდიდში. ექვსი ვერსი რომ გაუვლიათ წალენჯიხიდან, ყაჩაღებს სროლა აუტეხნიათ მილიციონერებისათვის, რომლებსაც სროლითვე უპასუხნიათ; ამ განუწყვეტლივ სროლის დროს ტუსაღებს გაქცევა მოუნდომებიათ ყაჩაღებისაკენ. როცა ეს შეუნიშნავთ მილიციონერებს, ერთბაშად უსვრიათ თოფი და სამივე ერთად მოუკლავთ. მას შემდეგ სროლა კიდევ გრძელდებოდა. ბოლოს როგორც იქმნა ყაჩაღებმა გაქცევა მოასწრეს.

ტ. წ—ელი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! ნება მიბოძეთ გამოვეპასუხო საჩხერეში მყოფ ზესტაფონის სახალხო გვარდიას, რომელმაც „ერთობის“ მე-189 №-ში 5 სექტემბრიდან წერილი მოათავსა და მისაყვედურებს მე, რომ საჩხერის ამბების გამომხეურების დროს ზესტაფონის მილიციონერ-გვარდიელებს ბრალსა სდებდი მოღალატეობასა და დეზერტირობაში, და ამით ცილსა გვწამებთო და სხვ. პირველად გვარდიასა უნდა მოვახსენო, რომ მიზეზი ჩემის პასუხის დაგვიანებისა გახლავთ ის, რომ მე გადავწყვიტე შემემოწმებინა ჩემი ცნობები: რამდენად სისწორით გადმომცეს მე იგი, რადგანაც მართლაც, რამდენიმე დღე საჩხერეში არ ვიყავი და რომ დავბრუნდი ტფილისიდან ზოგიერთი ცნობები აღნუსხე გაზეთში ოფიციალურად გადმოცემულ ამბებიდან. ჩემდა სასიამოვნოდ შემოწმებით გამოირკვა რომ ის რაც ჩემ მიერ „სახალხო საქმის“ მე-284 №-ში გვარდია მილიციონერების შესახებ იყო მოთავსებული, შეეხება ზესტაფონის მოხალისე-ლაშქარს, როგორც ეს განმეორებით და მიმოწმა პატივცემულმა ერთმა თქვენმა მეთაურთაგანმა პრაპ. ბ-ნმა ზაქარია ლურსმანაშვილმა და სიტყვები „გვარდია-მილიციონერები“ შეცდომით არის ნახმარი. მე ბოდიშს ვიხდი გვარდიის წინაშე უნებლიედ შეცდომისა გამო და ვიმედოვნებ, გვარდია ამ ჩემი განმარტებით დაკმაყოფილდება, თუ კი უნებლიედ შეცდომით რაიმე ზნეობრივი შეწუხება მივაყენე სამშობლოს საკეთილდღეოდ მომქმედ ზესტაფონის რაზმს.

ქაქუჩელა

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. ჩიქოლაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ხ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა, იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიოთ დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო. ტელ. 9—28. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახარ[illegible] [illegible] სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. [illegible] ჩამოვიდა და განაახლა შინაგან ავადმყოფთა—[illegible] ახალს რენტგენ-ელექტრო-[illegible] წამლობა × სხივებით, [illegible] ტიპისა, დიდი ხოლ[illegible] ბული ნაკადები დ'არსონვალის [illegible] მის სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—93. 1340

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენშტეინისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 35, ბ. 3, მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობანი 6—7 ს
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოს დირექტორი ექ. ა. დ. ალექსიძე.
278

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში [illegible] კიევის ქალაქის [illegible] მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ლ. ა. ხარაიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. [illegible] აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ი. ზარიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მოსხვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

ექიმ ნაგახარდიანის კერძო კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა
ბ. ზ. აგახაროვი. 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ა. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი
საღამოთი:
ს გ ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.
ა. ნ. ოხაკიანი: 6—7 ½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნაგახარდიანი**

ტფილისის ქალაქის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის თანადასწრებით მოხდება
შეჯიბრებითი ვაჭრობა
იჯარით არის გასაცემი ქალაქის სახლი, ტფილისში, მე-9 უბანში, რეუტოვის ქ. № 15. პირობების გაგება შეიძლება ქალ. გამგეობის კანცელიარიის საიჯარო საადგილ-მამულო ნაწილში. 1370